შპს“ ენსი დეველოპმენტი“

NC DEVELOPMENT LTD

თბილისი, გლდანის მე-5 მკრ. გრაფ შულენბურგის 2, ბ 9ა. ტელ: 577 49 44 88
Tbilisi, Gldani V mkr. Graf Shulenburg str. 2, 9a. Tel: 577 49 44 88

24/01/22წ.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

შპს “ენსი დეველოპმენტ“-ის (ს/კ 405385925)
დირექტორის სერგო კვანტალიანის

განცხადება

როგორც თქვენთვის ცნობილია N01.10.08.006.230 მიწის ნაკვეთზე ა-1 ბლოკის მარავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მიზნით წარმოდგენილი იყო NAR1870432 განაცხადი, რაზე სამსახურის მიერ 2021 წლის 10 იანვრის N5756152 გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა ხარვეზი, რასთან დაკავშირებითაც კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ შპს „ენსი დეველოპმენტი“-ს (ს/ნ 405385925) სამართლებრივ პოზიციას:

1. შპს „ენსი დეველოპმენტსა“ (ს/ნ 405385925) და შპს „ენსი გრუპს“ (ს/ნ 405186365) შორის არსებული ხელშეკრულბის, შპს „ენსი გრუპი“ (ს/ნ 405186365), როგორც შპს „ენსი დეველოპმენტის“ (ს/ნ 405385925) საკუთრებაში არსებულ N01.10.08.006.230 მიწის ნაკვეთზე მშენებელობის განმახორციელებელი სუბიექტი, სრულად არის აღჭურვილი ყველა უფლებამოსილებით იყოს შპს „ენსი დეველოპმენტის“ (ს/ნ 405385925) კანონიერი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სამართლებრივ იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მოიპოვოს N01.10.08.006.230 მიწის ნაკვეთზე შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია და აიღოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა, ხოლო აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები.
2. როგორც წინა წერილითაც განგიმარტეთ, საპროექტო ბლოკში ფართების განაწილების თაობაზე გაცნობებთ, რომ ა-1 ბლოკში არ არის გათვალისწინებული კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართები და ისინი ასახულია **N AR1806834** და **N AR1807013 (იხ. შესაბამისი განაცხადები)** განაცხადებით წარმოდგენილ ბ-1 და ბ-2 ბლოკებში და ფართების კოოპერატივის წევრებისათვის განაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული ამ განაცხადებში.

3. თქვენს წერილში იყო მითითებული, რომ **„ხელშკრულების 1.4 პუნქტში მითითებული პირობების შესრულებამდე გადაცემული მიწის ნაკვეთის განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობით“.** ამასთან დაკავშრებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის აღება არ წარმოადგენს არც განკარგვას არც უფლებრივად დატვირთვას, ხოლო მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული ვალდებულება, როგორც სანივთო უფლება მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული იქნება მანამ, სანამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ არ მოხდება ვალდებულების დადასტურება და შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარედგინება საჯარო რეესტრს.

ზემოაღნიშნული გარემობებისა და იმის გატვალისწინებით, რომ სამსახურის მიერ 2021 წლის 27 დეკემბრის N574478 გადაწყვეტილებით უკვე შეთანხმებული იქნა პროექტი, რომელსაც გააჩნია ანალოგიური გეგმარება, ხოლო მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით ასევე წარმოდგენილი იქნა საჭირო დოკუმენტაცია და გადახდილია დაჩქარებული მომსახურების საფასური არ არსებობს მშებელობის ნებართვის გაცემა უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები და დაჩქარებული მომსახურების ფარგლებში, გთხოვთ, N01.10.08.006.230 მიწის ნაკვეთზე გასცეთ ა-1 ბლოკის მშენებლობის ნებართვა.

შპს “ენსი დეველოპმენტი“-ს დირექტორი ს. კვანტალიანი